საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/44 "11" აპრილი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წერილობით მიმართა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და მოითხოვა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების, კერძოდ, ცეცხლსასროლი იარაღის (პისტოლეტი „პიეტრო ბერეტა 84 ფს ჩეეტან") და ამავე იარაღის 2 ცალი ვაზნის უსასყიდლოდ, არსებობის ვადით სარგებლობაში სარგებლობაში გადაცემა.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტს ასევე მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლომ და მოითხოვა ნაფიც მსაჯულთა გადაადგილებისათვის მიკროავტობუსით უზრუნველყოფა. აღნიშნულთან დაკავშირებით მიღწეულია შეთანხმება, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, უსასყიდლოდ გადასცეს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს მიკროავტობუსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, ზემოაღნიშნული ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი